ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლანა ხვედელიძე

შიდაპარტიული დემოკრატია ქართულ პარტიებში

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მალხაზ მაცაბერიძე

პროფესორი

თბილისი, 2019 წელი

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია საქართველოს 2016 წლის საკანონმდებლო ორგანოს მთავარი პოლიტიკური პარტიები და მათი შიდაპარტიული დემოკრატიის მექანიზმები.

შიდაპარტიული დემოკრატიის ხარისხის განსაზღვრისას გამოყენებულია წესდებათა ანალიზი, კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ განხილვა და შედარება გერმანიის პოლიტიკური პარტიების აქტთან.

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია შიდაპარტიული დემოკრატიის ფენომენი და მისი გამოვლინებები ქართულ პოლიტიკურ პარტიებში. განხილულია შიდაპარტიული დემოკრატიის კრიტერიუმები და მათ საფუძველზე, ქართული პარტიების წესდებები.

მეორე თავში საუბარია ქართულ და ევროპულ საკანონმდებლო რეგულაციებზე და მათ მნიშვნელობაზე.

მესამე თავი ეთმობა გერმანიისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებას. ბოლოს განხილულია თუ რა მნიშვნელობა აქვს საკანონმდებლო რეგულაციებს და რატომ არის საჭირო ისინი საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში.

Annotation

Intra-party Democracy in Georgian Parties

Lana Khvedelidze

The paper deals with the main political parties of the Georgian legislative body of 2016 and their internal party democracy mechanisms.

In determining the quality of internal party democracy, it is used to analyze statutes and discuss the Law on Political Unions of Citizens and compare with the Act of German Political Parties.

In the first part of the thesis is discussed the phenomenon of internal party democracy and its manifestations in Georgian political parties. The criteria of internal party democracy are discussed and the statutes of the Georgian parties.

The second chapter speaks about Georgian and European legislative regulations and their importance.

The third chapter is comparing the legislation of Germany and Georgia. Finally, considering the importance of legislative regulations and why they are needed in Georgian political space.

სარჩევი

- შესავალი..... 5

თავი პირველი: შიდაპარტიული დემოკრატია და მისი გამოვლინებები საქართველოში.....14

1. შიდაპარტიული დემოკრატიის ფენომენი და მისი უმთავრესი მახასიათებლები.....14
2. შიდაპარტიული დემოკრატიის მექანიზმები.....19

თავი მეორე: „საქართველოს კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ “. პოლიტიკური პრინციპები და ფაქტის კავშირი შიდაპარტიულ დემოკრატიასთან ……30

1. საქართველოს კანონის ძირითადი პრინციპები 30
2. ევროპული ქვეყნების პარტიული კანონმდებლობა 32
3. საქართველოსა და გერმანიის პარტიათა კანონმდებლობის შედარება.....33

თავი მესამე: თავი მესამე. შედარებითი ანალიზი და პარტიული რეგულაციების მნიშვნელობა

1. შედარებითი ანალიზი გერმანიის პოლიტიკური პარტიების აქტთან.....37

2.. რატომ არის მნიშვნელოვანი პარტიული რეგულაციების გაძლიერება ქართულ პოლიტიკურ სივრცეში?.....41

დასკვნა..... 43

ბიბლიოგრაფია.....

დანართი

თემის აქტუალობა და მიმოხილვა

საქართველოში მრავალი პარტია არსებობს, თუმცა მათგან მცირე პროცენტი არის პოლიტიკურ ველზე აქტიური. პარტიების დიდი ნაწილი აქცენტს აკეთებს დემოკრატიისკენ სწრაფვაზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე და ა.შ იმისთვის, რომ მათ მოახერხონ სწორი პოლიტიკის გატარება და რეალურად, საზოგადოების აზრზე ორიენტირება, ასევე მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, საჭიროა, რომ პარტიებს შიგნით არსებობდეს დემოკრატია, რასაც შიდაპარტიულ დემოკრატიას უწოდებენ. ამ ცნებას მრავალი განმარტება აქვს და პოლიტიკის მეცნიერები ჯერ ვერ შეჯერდნენ ერთზე, თუმცა ძირითადი დეფინიცია ასეთია.

შიდაპარტიული დემოკრატია გულისხმობს პოლიტიკურ მეთოდთა და პროცედურათა ერთობლიობას, როდესაც პარტიული გაერთიანების ყველა წევრს აქვს თანაბარი შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა ორგანიზაციის მართვაში, ასევე, პოლიტიკური ლიდერები დაქვემდებარებულები არიან აქტივისტებზე და მათ გადაწყვეტილებებზე და არა პირიქით. პარტიის სწორად და შედეგიანად განვითარებისთვის საჭიროა შიდა კონკურენცია, რომლის საშუალებითაც პარტიის წევრებს ეძლევათ შანსი საკუთარი იდეები განახორციელონ და ფრაქციებად ჩამოყალიბდნენ. დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონულ ორგანიზაციებსაც, რომლებიც პარტიის დეცენტრალიზაციას უწყობენ ხელს და ადგილობრივ დონეზე არსებულ პრობლემებზე ამახვილებენ ყურადღებას. საინტერესოა, თუ რა ხარისხით არის შიდა პარტიული დემოკრატია ქართულ პარტიებში წარმოდგენილი. რამდენად აქტუალურია შიდა პარტიული დემოკრატია ქართულ პარტიებში და რაში გამოიხატება იგი . აქვთ თუ არა პარტიებს ახალგაზრდული ორგანიზაციები, ქალთა ორგანიზაციები და ა.შ.

საინტერესოა, დავადგინოთ თუ რა მიმართებაშია ქართული პოლიტიკური სისტემა ევროპულ სტანდარტებტან და ცვლილებებია საჭირო.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია საქართველოში არსებული პარტიების შიდადემოკრატიული მექანიზმების შესწავლა, კერძოდ კი პარტიებისა, რომლებიც ბოლო მოწვევის პარლამენტში არიან წარმოდგენილნი.

შიდა პარტიული დემოკრატიის შეფასება კი გადავწყვიტეთ პარტიების მიერ გაწერილი წესდებების შეფასებით, რამდენად არის ქართული პარტიული წესდებები ახლოს შიდადემოკრატიული სისტემის მოთხოვნებთან.

მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, რა მოთხოვნები აქვს კანონმდებლობას პარტიების მიმართ და რამდენად უშლის ან უწყობს ეს ხელს პარტიების შიდადემოკრატიულ განვითარებას.

კვლევის მიზანია დაადგინოს, რამდენად აისახება კანონმდებლობაში არსებული შესაძლო სისუტეები ქართული პარტიების შიდა პარტიული დემოკრატიის ხარისხზე.

კვლევის ამოცანა

დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების შესრულება

- შიდაპარტიული დემოკრატიის შესახებ არსებული ლიტერატურის შესწავლა;
- ევროპაში არსებული შიდა პარტიული დემოკრატიის სტანდარტების შესწავლა;
- ბოლო მოწვევის საკანონმდებლო ორგანოს წევრი პარტიების წესდებების შესწავლა;
- კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ ანალიზი;

კვლევის კითხვები

კვლევის კითხვა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა :

1. განაპირობებს თუ არა კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ სპეციალური რეგულაციების არარსებობა, ბოლო მოწვევის საპარლამენტო ორგანოში საპარლამენტო მუშაობის გამოცდილების მქონე პარტიებში შიდადემოკრატიის ხარისხს?

კვლევის ჰიპოთეზა

1. უკანასკნელი ორი მოწვევის საკანონმდებლო ორგანოში საპარლამენტო მუშაობის გამოცდილების მქონე პარტიებში შიდაპარტიული დემოკრატიის ხარისხი

განპირობებულია კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ “ სპეციალური რეგულაციების არარსებობით.

ცვლადები :

დამოუკიდებელი ცვლადი - პარტიული კანონმდებლობის სისუსტე

დამოკიდებული ცვლადი - შიდაპარტიული დემოკრატიის ხარისხი

თეორიული საფუძვლები

მეოცე საუკუნის განმავლობაში პოლიტიკურ მეცნიერებაში მრავალი თეორია შეიქმნა, მეცნიერები მუდმივად ცდილობდნენ მოვლენებს შესაბამისი ახსნები მოუძებნონ.

გასული საუკუნის დასაწყისში გერმანელი სოციოლოგის, რობერტ მიხელსის მიერ შექმნილი თეორია დღესაც არ კარგავს აქტუალობას. მან თავის წიგნში „პოლიტიკური პარტიები“ განიხილა პოლიტიკური ორგანიზაციების საკითხი და შექმნა თეორია „ოლიგარქიის რკინის კანონის“ შესახებ.

ოლიგარქიის რკინის კანონი გულისხმობს, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაცია, რაც არ უნდა დემოკრატიულ პრინციპებზე იყოს იგი დაფუძნებული, საბოლოო ჯამში რამდენიმე ადამიანის ერთპიროვნული და უკონტროლო მმართველობის ქვეშ ექცევა. მიხელსი ამბობდა რომ ეს გამოწვეულია ორგანიზაციის გაფართოების შედეგად წარმოქმნილი ბიუროკრატიული მექანიზმის მიერ, რომლის გამოც მართვის სადავეები პატარა ჯგუფის ხელში, ხვდება, რომლებიც ლიდერები არიან.

მიხელსი მიუთითებს თუ რა იწვევს ოლიგარქიისკენ სწრაფვას.

1. ეს არის ტექნიკური მოტივი, ორგანიზაციის ეფექტურად მართვის სურვილი. როდესაც შიდაპარტიულ დემოკრატიაზეა მსჯელობა, კრიტიკოსები ამბობენ, რომ ის პარტიის ეფექტურ მართვას და გადაწყვეტილებების სწრაფ მიღებას უშლის ხელს. შესაბამისად ორგანიზაციები მიისწრაფვიან ოლიგარქიული, პატარა ჯგუფის მმართველობისკენ.
2. მეორე ფაქტორია ლიდერთა ფსიქოლოგიური ხასიათი- პოსტებისა და პრივილეგიების შენარჩუნებისკენ სწრაფვა. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ხელმძღვანელ პოსტზე მოექცევა ცდილობს ან შეინარჩუნოს ეს მდგომარეობა, ან უფრო მაღლა ავიდეს. შესაბამისად, პარტიის ხელმძღვანელი პირები ცდილობენ მათი მდგომარეობა მუდმივი იყოს. ამის კარგი მაგალითია ქართული პარტიები, რომლებშიც პარტიის თავმჯდომარე ათწლეულების მანძილზე არ იცვლება.

2. მესამე ფაქტორად მიხელსი ასახელებს მასების ფსიქოლოგიას, რომლის მიხედვითაც ადამიანები მიდრეკილნი არიან ხელმძღვანელის მიმართ მორჩილებისკენ. განსაკუთრებით, ეს ფაქტორი, ალბათ, პოსტ-კომუნისტურ სახელმწიფოებშია, სადაც ადამიანების ფსიქოლოგია ისე იყო გამოყვანილი რომ პარტიის მმართველობას ემორჩილებოდნენ.

ამ თეორიის გათვალისწინებით საქართველოში არსებული პარტიებიც ბუნებრივად არადემოკრატიული, ოლიგარქიული მმართველობისკენ არიან მიმართულნი და ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ სახელმწიფო არ შეცვლის მიდგომას და პარტიებს არ მოუწოდებს შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებისკენ. კვლევის შედეგად კი დავასკვნბით არის თუ არა სახელმწიფოს მიერი რეგულაციები შიდაპარტიული პოლიტიკის ხარისხის განმაპირობებელი.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ამ ნაწილში წარმოდგენილია თუ რა მეთოდებით და საშუალებებით მოხდება ინფორმაციის შეგროვება. კვლევისთვის გამოვიყენებ თვისებრივი კვლევის მეთოდს, კერძოდ, კი დოკუმენტების ანალიზი, რომლის საშუალებითაც შესწავლილი იქნება პოლიტიკური პარტიების წესდებები. პოლიტიკური პარტიების წესდებების საშუალებით მოვიპოვებ მონაცემებს პარტიების სტრუქტურის შესახებ, გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ, როგორი წესით ირჩევენ ლიდერს და წარმომადგენლებს, ასევე თუ როგორ ხდება პარტიული პოლიტიკის წარმართვა. ასევე, დოკუმენტების ანალიზის საშუალებით შევისწავლი ევროპისა და საქართველოს პარტიულ კანონმდებლობებს, განვიხილავ განსხვავებებს და მათ მნიშვნელობას. შიდაპარტიული დემოკრატიის გაზომვა მოხდება შემდეგი ინდიკატორების საშუალებით:

1. დოკუმენტების შინაარსობრივი ანალიზი
2. გერმანული პარტიული კანონის შედარება ქართულ კანონთან.
3. ევროპული შიდა პარტიული სტანდარტების შედარება ქართულ რეალობასთან

ლიტერატურის მიმოხილვა

შიდაპარტიული დემოკრატიის შესახებ მრავალფეროვანი ლიტერატურა მოიპოვება. მნიშვნელოვანია განვიხილოთ თუ საიდან და როდის დაიწყო შიდაპარტიულ დემოკრატიაზე ფიქრი პოლიტიკის მეცნიერთა საზოგადოებამ და რა ეტაპამდეა მისული ამჟამად ეს განვითარება.

პირველ მსოფლიო ომამდე პარტიული პოლიტიკის თემატიკაზე ორი მთავარი ავტორი მუშაობდა, ოსტროგორსკი და მიხელსი. მათ სხვადასხვა მოსაზრებები ჰქონდათ, თუმცა ორივე მეცნიერი შეშფოთებული იყო პარტიების არადემოკრატიული და ოლიგარქიული ხასიათის გამო. (Sartori, 1976)

მიხელსი „ოლიგარქიის რკინის კანონით“ არის ცნობილი და მისი აზრით, პოლიტიკური პარტიები არსებითად არადემოკრატიულია და ოლიგარქიული ტენდენციები გააჩნიათ, რის შემთხვევაშიც, პარტიის ლიდერები და ელიტები აკონტროლებენ პარტიას წევრთა ხარჯზე. ამ არგუმენტების მიხედვით, შიდაპარტიული დემოკრატია შეუთავსებელია მაღალორგანიზებულ ელიტურ სისტემასთან. ოლიგარქიული პოლიტიკურ პარტიებს აქვთ ძალიან ცენტრალიზებული და ექსკლუზიური გადაწყვეტილების მიღების პროცესი და რა თქმა უნდა არ არიან შიდაპარტიულად დემოკრატიულები. ამ მიზეზებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს დემოკრატიზაციის სათავე შიდაპარტიულ დემოკრატიაში შეიძლება ვეძებოთ. (Michels, 1968)

პარტიული პოლიტიკისთვის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო XX საუკუნის 40-იანი წლები. მაგალითად, ალან უერის ნაშრომში ამერიკული პოლიტიკური სისტემის შიდაპარტიულ დემოკრატიაზე გადასვლა კარგადაა აღწერილი. ავტორი 1940-იანი წლების ბოლო პერიოდზე ამახვილებს ყურადღებას, როდესაც ამერიკის პოლიტიკის მეცნიერებათა ასოციაციის კომიტეტის ხელმძღვანელი ელმერ ერიკ შათშნაიდერი იყო. ეს პერიოდი იყო უმნიშვნელოვანესი პარტიული პოლიტიკის განვითარების მხრივ. შათშნაიდერის მოღვაწეობის პერიოდში დაიწყო პარტიული სტრუქტურის რეფორმები, რომლის წინააღმდეგაც მალევე წავიდნენ, თუმცა საზოგადოებაში მან ჰპოვა მხარდაჭერა.

პარტიული რეფორმები მიზნად ისახავდა პარტიათა პასუხისმგებლობის გაზრდას ელექტორატის მიმართ. ამომრჩეველს უნდა სცოდნოდა თუ რომელი პარტია იყო მისი ინტერესის დამცველი და ამის მოხერხება პარტიათა პოლიტიკური პროგრამების ინსპექტირებით შეძლეს.

ამერიკის პოლიტიკის ასოციაციის კომიტეტი ფიქრობდა, რომ პოლიტიკური პარტიების საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობა უნდა ყოფილიყო საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური განვითარება და მათი განათლება ამ საკითხებში. კომიტეტს მიაჩნდა, რომ ყველაზე მთავარ პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ მოქალაქეებს არ ჰქონდათ შესაბამისი ინსტრუმენტები, რათა პარტია და მისი პოლიტიკა გაეკონტროლებინათ, თუმცა აქვე ავტორი დასძენს, რომ მხოლოდ ეს არ ყოფილა პრობლემა. პრობლემას წარმოადგენდა თვითონ ამომრჩეველთა შორის პარტიული პოლიტიკური უნარების არ არსებობა და მათი გაუთვითცნობიერებლობა. ამომრჩეველმა არ იცოდა, თუ რა უნდა მოეთხოვა პარტიებისთვის და მმართველი ორგანოების წარმომადგენლებისთვის, რა მიზნებისთვის უნდა მიეღწიათ მათ. სწორედ ეს ფაქტორია მნიშვნელოვანი, ამომრჩეველთა ჩართულობა და მათი გათვითცნობიერება პარტიული პოლიტიკის წარმოებაში გვაძლევს შიდაპარტიულ დემოკრატიას, რადგან პარტიის ლიდერები იძულებულები ხდებიან, საკუთარი ამომრჩევლის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედონ (Ware, 1979).

პარტიული პოლიტიკის და შიდაპარტიული დემოკრატიის შესწავლისას მნიშვნელოვანი ჯოვანი სარტორის ნაშრომზე ყურადღების გამახვილება.

სარტორი განსაზღვრავს, რომ პოლიტიკური პარტიების პირველადი ფუნქცია მოქალაქესა და მმართველ ორგანოებს შორის კავშირის დამყარებაა. ამ როლის ეფექტურად შესასრულებლად, პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა უზრუნველყონ პარტიის წევრთა, აქტივისტთა და პარტიის ლიდერთა ეფექტური მონაწილეობის შესაძლებლობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სარტორი თავის ნაშრომში არამარტო პარტიის შესწავლას მიიჩნევს მნიშვნელოვნად, არამედ პარტიის სისტემების და მისი ერთეულებისა. მიუხედავად იმისა, რომ პარტია მთავარი საკვლევი საკითხია, მისი შესწავლა არ იქნება სრული, თუ არ განვიხილავთ როგორ მოქმედებს და ცვლის პარტიას მისი შემადგენელი ერთეულები, ამბობს ავტორი იშველიებს სხვა მეცნიერის, ელდერსველდის განსაზღვრებას. ის ამბობს, რომ „პარტია არის მინიატურული პოლიტიკური სისტემა,

რომელსაც აქვს ავრორიტეტული სტრუქტურები, წარმომადგენლობითი პროცესი, ელექტორალური სისტემა. პარტიას აქვს სხვადასხვა მიმდინარე პროცესები, როგორიცაა წევრების ლიდერების რეკრუტირება, მიზნების განსაზღვრა და შიდა კონფლიქტების აღმოფხვრა. საბოლოოდ, პარტია არის გადაწყვეტილების მიმღები სისტემა“ (Sartori, 1976).

შიდაპარტიული დემოკრატიის გავრცელებაში რეალურ პოლიტიკურ სივრცეში, უმნიშვნელოვანესი როლი ითამაში 1980-იანი წლებიდან ევროპაში წარმოქმნილმა ახალმა პარტიულმა გაერთიანებებმა.

კარგი მაგალითია გერმანიის მწვანეთა პარტია, რომელიც თავის ერთ-ერთ საყრდენ წერტილად საბაზისო დემოკრატიას თვლის, ეს იყო თანამონაწილეობითი დემოკრატია. მწვანეთა პარტია თვლიდა , რომ ნებისმიერი პოლიტიკა უნდა განხორციელებულიყო თანასწორუფლებიანი პირების ერთობის მიერ, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე და თითოეულის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ამიტომ , უნდა გამორიცხულიყო ერთი პირის მიერ ძალაუფლების უზურპირება. როგორც „მწვანეები“ ამბობდნენ, ისინი ეწეოდნენ „საბაზისო დემოკრატიის” პროპაგანდას. ეს იდეა ისევე მნიშვნელოვანი იყო მათთვის, როგორც ქალთა უფლებები, ეკოლოგია და პაციფიზმი. და საბოლოოდ „საბაზისო დემოკრატია“ მწვანე იდეოლოგიის ერთ- ერთ ნიშნად იქცა. დემოკრატიის დამყარებისთვის შიდაპარტიულ საქმიანობაში მწვანეებმა რამდენიმე წესი დაამტკიცეს. რაც მიზნად ისახავდა ელიტური ჯგუფების ჩამოყალიბების და გაძლიერების პრევენციას. ამ მიზნით, პოლიტიკური პარტიის მმართველი პოზიციებისთვის ანაზრაურება არ იყო შემოღებული.

1980-იან წლებში წარმოქმნილ ახალ პარტიებს შემდეგი მახასიათებლები ჰქონდათ:

1. წევრთა თანასწორობა, სქესის მიუხედავად.
2. როტაციის პრინციპი-თანამდებობების მცირე პერიოდში დათმობა და სხვისთვის დათმობის ვალდებულება
3. გენდერული კვოტირება
4. გამჭვირვალობა
5. დეცენტრალიზაცია

თავი პირველი: შიდაპარტიული დემოკრატია და მისი გამოვლინებები საქართველოში

1.1 შიდაპარტიული დემოკრატიის ფენომენი და მისი უმთავრესი მახასიათებლები

შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარება პარტიებში და პოლიტიკურ ველზე მნიშვნელოვანი ფენომენია. რას გულისხმობ შიდაპარტიული დემოკრატია და რა არის ამ ფენომენის ძირითადი მახასიათებლები?

შიდაპარტიული დემოკრატიის ფენომენი გულისხმობს პარტიის წევრთა ჩართულობას, მონაწილეობას პარტიის მუშაობაში, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ხშირად, პოლიტიკაში მონაწილეობა მხოლოდ საარჩევნო ურნასთან მისვლასთანაა გაიგივებული. რეალურად კი იმისთვის, რომ პარტიებმა განახორციელონ წევრების პოლიტიკური იდეები, მიზნები და ამოცანები, საჭიროა მათი მუდმივი ჩართულობა პარტიის მუშაობაში და ხელმძღვანელ პირთა „იძულება“, რათა იმუშაონ წევრთა მოთხოვნების შესაბამისად.

შიდაპარტიული დემოკრატიის არსებობა გულისხმობს დემოკრატიის მაღალ ხარისხსაც ქვეყანაში. რა კრიტერიუმებს გვთავაზობენ თანამედროვე მეცნიერები შიდაპარტიული დემოკრატიის დასახასიათებლად?

პარტიული პოლიტიკის მიმართულებით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მკვლევარია სუზან სქაროუ . იგი არის ჰიუსტონის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების ასოცირებული პროფესორი და ფლობს იელის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხს. პარტიული პოლიტიკის მიმართულებით დაწერილი აქვს რამდენიმე ნაშრომი და ასევე მრავალი სტატია გავლენიან პოლიტიკურ ჟურნალებში. სუზან სქაროუს ნაშრომებიდან შეგვიძლია თანამედროვე შიდა პარტიული დემოკრატიის კრიტერიუმებზე ვისაუბროთ.

მეცნიერი აღნიშნავს, რომ დემოკრატიული პარტიები მუდმივ გამოწვევაში არიან, რათა არ გაწყდეს მოქალაქეთა და მათ არჩეულ ლიდერთა შორის კავშირი, ასევე არ შემცირდეს პოლიტიკური აქტივიზმი და არ გაიზარდოს ანტიდემოკრატიული ძალების რაოდენობა. ვფიქრობ, ანტიდემოკრატიული ძალების გაძლიერება,

პოლიტიკური აქტივიზმის შემცირება და ამომრჩეველთან კავშირის დაკარგვა პირდაპირ არის დემოკრატიული პარტიების არასწორი პოლიტიკის შედეგი. რაც უფრო მეტად მისცემს პარტია თავის წევრს საშუალებას გამოხატოს აზრი და შეხედულება, მით უფრო მეტ აქტიურ მხარდამჭერს მიიღებს. ვფიქრობ, ანტიდემოკრატიული ძალები მაშინ ძლიერდება, როდესაც ამომრჩეველი იმედგაცრუებულია და არ სრულდება მისი მოლოდინი.

იმისთვის, რომ პარტიის დემოკრატიზაციის ხარისხი შევაფასოთ, უნდა გავარკვიოთ მისი ორგანიზაციული საკითხები. სხვებთან ერთად სკაროუ გამოყოფს სამ კრიტერიუმს, რომელიც შიდა დემოკრატიის კვლევაში დიდ როლს ასრულებს. ესენია:

1. ინკლუზიურობა.
2. ცენტრალიზაცია
3. ინსტიტუციონალიზაცია

ეს კრიტერიუმები ვარირებს პარტიების მიხედვით , თუმცა გვაძლევს საშუალებას აღვწეროთ, თუ რა იგულისხმება დემოკრატის გავრცელებაში, პარტიებს შორის. ჩემი კვლევისთვის ამ კრიტერიუმებს დიდი მნიშვნელობა აქვს.

1. **ინკლუზიურობის ხარისხი** განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად ფართოა წრე, რომელსაც აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება. რამდენად ბევრია ისეთი საკითხი, რომელზეც გადაწყვეტილებას ექსკლუზიურად იღებს პარტიის ლიდერი ან ლიდერთა ჯუფი. ამ კრიტერიუმით შევძლებ, გავარკვიო რამდენად არის ქართული პარტიები ლიდერზე ორიენტირებული ან პირიქით. ინკლუზიურობა შიდა პარტიული დემოკრატიის მაღალი ხარისხისას მაღალია. ეს ნიშნავს, რომ პარტიის ყველა წევრს და ზოგ შემთხვევაში ყველა მხარდაჭერს ეძლევა შანსი გადაწყვიტოს მნიშვნელოვანი საკითხი, მაგალითად მისცეს ხმა პარტიის ლიდერის ან წარმომადენლების არჩევას. სწორედ ეს საკითხი არის კვლევისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი. თუ როგორ იქცევიან ქართული პარტიები მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში.
2. **ცენტრალიზაცია** - სქაროუ შიდაპარტიული დემოკრატიის კიდევ ერთ კრიტერიუმად მიიჩნევს ცენტრალიზაციის ხარისხს. რამდენად ცენტრალიზებულია პარტია, შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმით, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას, ადამიანების პატარა ჯგუფი თუ ორგანო. მეტად ცენტრალიზებულ პარტიებში

აღმასრულებელი ორგანო ძალიან ხშირად იკრიბება და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება პარტიის ყველა დონისთვის სავალდებულოა, ხოლო დეცენტრალიზებულ პარტიებში ნაციონალური დონის კომიტეტი უფრო იშვიათად იკრიბება, ისინი მეტად არიან ორიენტირებულნი კოორდინაციასა და კომუნიკაციაზე, ვიდრე პარტიის ყველა ჯგუფისთვის გაწერილი გეგმის მიცემაზე. ვფიქრობ, მეტად ცენტრალიზებულ პარტიებში ელიტები ცდილობენ მართონ ქვედა რგოლები და არ აძლევენ საშუალებას გადაწყვიტონ მნიშვნელოვანი საკითხები. ელიტებს სურთ შეინარჩუნონ გავლენა და მათი გადაწყვეტილება მოახვიონ პარტიის ყველა ჯგუფს თუ ორგანიზაციას.

3. **ინსტიტუციონალიზაცია** - ეს ცნება ფართო სპექტრს მოიცავს, მაგალითად: პარტიის დამოუკიდებლობა სხვა აქტორებისაგან; პარტიის ორგანიზაციული განვითარება და წესები, რომლითაც ხელმძღვანელობს პარტია. ვიწრო ორგანიზაციული გაგებით ესაა ის შიდა გადაწყვეტილების პროცედურები, რომლის მიღების წესიც ფორმალიზებულია. როგორც ავტორი აღნიშნავს, ახლადშექმნილ პარტიებს ინსტიტუციონალიზაციის შედარებით დაბალი დონე აქვთ, რადგან მის დაწერას და ჩამოყალიბებას დრო სჭირდება, თუმცა მაღალი ინსტიტუციონალიზაცია არ ნიშნავს აუცილებლად მაღალ შიდა პარტიულ დემოკრატიას და პირიქით. თუმცა, პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციონალიზაცია კარგია ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობისთვის, რადგან შიდა პარტიული წესების არსებობა ამცირებს კონფლიქტების შესაძლებლობას.

პოლიტიკური პარტიები კონკრეტული პოლიტიკური მიზნების შესასრულებლად იქმნება. იმისათვის რომ ეს მიზნები შესრულდეს, მათ სჭირდებათ წევრები და მხარდამჭერები. პარტია უნდა ცდილობდეს მოიზიდოს მუდმივი მხარდამჭერები. მაგალითად, ზოგიერთი ადამიანი პარტიაში იმ მიზნით წევრიანდება, რომ გამოხატოს საკუთარი პოლიტიკური რწმენა და იდეოლოგია ამა თუ იმ პარტიის მხარდაჭერით, ზოგიერთს სურს მეტი შეიტყოს პოლიტიკურ პროცესებზე და პოლიტიკური პარტიის ლიდერებისგან მიიღოს პასუხი. პარტიის მხარდამჭერებს აერთიანებთ ერთი რამ, ისინი იმ შემთხვევაში დაუჭერენ პარტიას მხარს, როდესაც პარტია მათ ინტერესებს გამოხატავს. შესაბამისად, პარტიები და პარტიის ელიტები უნდა ცდილობდნენ მაქსიმალურად გაითვალისწინონ წევრების მოსაზრებები.

ამისთვის საჭიროა შიდა პარტიული დემოკრატიის მაღალი ხარისხი, რათა პარტიის ყოველ წევრს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა გამოხატოს საკუთარი მოსაზრება.

ევროპულ ქვეყნებში პარტიის ეკონომიკური კეთილდღეობა დიდადაა დამოკიდებული პარტიის წევრების მიერ გადახდილ თანხაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით, ყველა პარტიას თავისი წესი აქვს. მოქალაქე, რომელიც გადაიხდის საწევრო თანხას პარტიის ხაზინაში, მიეცემა შესაძლებლობა გადაწყვეტილების მიღების პროცედურებში მისცეს ხმა. შესაბამისად, წევრს აქვს იმის მოლოდინი, რომ მისი ხმა გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნება და შესაძლოა გადამწყვეტიც იყოს. სწორედ ეს ფაქტია მამოძრავებელი ძალა პარტიაში გაწევრიანებისა და საწევრო თანხის გადახდის მოტივი. პარტიებისგან კი მოტივაციაა ის, რომ შემოსავლის წყარო არ დაკარგონ და მეტი შემომტანი ჰყავდეთ პარტიაში. იმ შემთხვევაში თუ შიდა პარტიული დემოკრატია პარტიაში არ იარსებებს ან ძალიან დაბალ დონეზე იქნება და წევრს არ მიეცემა საშუალება საკუთარი აზრი გამოხატოს და გადაწყვეტილებას ექსკლუზიურად ან პარტიის ლიდერი მიიღებს ან ელიტა, პარტია დაკარგავს წევრს, მხარდამჭერს და ფინანსურ წყაროსაც. ამიტომ არის მნიშვნელოვანი პარტიებისთვის, რომ წევრებს მისცენ გამოხატვის საშუალება და გააძლიერონ შიდაპარტიული დემოკრატია. ამ მიზეზების გათვალისწინებით, პარტიები მოტივირებულნი უნდა იყონ, რათა შიდა პარტიული დემოკრატიის მაღალ დონეს მიაღწიონ, რაც საშუალებას მისცემს მათ მიიზიდონ და შეინარჩუნონ მხარდამჭერები.

როგორც მეცნიერი აღნიშნავს, პოლიტიკური პარტიები თანამედროვე პოლიტიკაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ. პარტიები არიან საზოგადოების წარმომადგენლები, ისინი არიან შუამავლები ამომრჩეველსა და ხელისუფლებას შორის, შესაბამისად, მათ უდიდესი როლი აკისრიათ, ამომრჩევლის ნების შესრულების პროცესში.

ვფიქრობ, შიდაპარტიული დემოკრატიის განხორციელების მოთხოვნა ქვემოდან, პარტიის წევრებისგან უნდა მოდიოდეს, რადგან პარტიის ლიდერებმა შეასრულონ წევრების დაკვეთა. პარტიის წევრების ჩართულობა უნდა იყოს მუდმივი და არა მხოლოდ საარჩევნო ხასიათის. ისინი მუდმივად უნდა გამოთქვამდნენ საკუთარ მოსაზრებებს, მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ქმნიდნენ ადგილობრივ წარმომადგენლობებს და გადაწყვეტილებებსაც საკუთარი რეგიონის საჭიროების მიხედვით უნდა იღებდნენ. პარტიის წევრებიდან და ორგანიზაციებიდან

უნდა მოდიოდეს ინიციატივა, თუ რა პოლიტიკური მიმართულება უნდა აიღოს პარტიამ. რა გადაწყვეტილებას მიიღებს, თუ ვინ იქნებიან პარტიის წარმომადგენლები, კანდიდატები უნდა გადაწყვიტონ პარტიის წევრებმა. შიდაპარტიული დემოკრატიის ხარისხიც სწორედ ამ საკითხებზეა დამოკიდებული. სუზან სქაროუ თავის ერთ-ერთ ნაშრომში შიდაპარტიული დემოკრატიის განხორციელების სამ აუცილებელ პროცესს გამოყოფს.

1. კანდიდატების არჩევა
2. ლიდერის არჩევა
3. პარტიის პოლიტიკის განსაზღვრა
4. პარტიის დამხმარე ორგანიზაციების არსებობა (რეგიონალური ორგანიზაციები, ბიუროები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, ქალთა ორგანიზაციები და.აშ)

ქართულ პოლიტიკურ პარტიებში შიდაპარტიული დემოკრატიის კვლევისას სწორედ ამ კრიტერიუმებს გამოვიყენებ.

1.2 შიდაპარტიული დემოკრატიის მექანიზმები საქართველოში

სანამ უშუალოდ შიდაპარტიული მექანიზმების შესახებ ვიმსჯელებდე, ვფიქრობ საჭიროა, „ერთგვარი ექსკურსი ქართული პოლიტიკური გამოცდილების შესახებ, რადგან ისტორიული წინამძღვრები და გამოცდილება მნიშვნელოვანია შიდადემოკრატიის განვითარებისთვის.

ის რომ საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენელი სახელმწიფო იყო დიდ მნიშვნელობას იძენს მისი პოლიტიკური ისტორიის საკითხში. ქვეყანა 70 წლის განმავლობაში ავტორიტარული მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა. არსებობდა მხოლოდ ერთი პარტია, რომელიც განკარგავდა აბსოლუტურად ყველაფერს. ხალხს რეალურად არ ჰქონდა რაიმეს შეცვლის ან არჩევანის გაკეთების საშუალება. ყველაფერი წყდებოდა ზემოდან. არჩევნები კი მხოლოდ თვალის ასახვევად ტარდებოდა და რეალური ფუნქცია არასოდეს ჰქონია. შესაბამისად, საქართველო ნეგატიური პოლიტიკური გამოცდილების ქვეყანაა. ნეგატიური პარტიული ფენომენი განსაკუთრებით დიდი იყო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.

რას გულისხმობს ნეგატიური პარტიული ფენომენი? ავტორიტარული რეჟიმის ქვეყნებში რეალური პოლიტიკური პარტიები არ არსებობდა. იმ წარმონაქმნებს, რასაც პოლიტიკურ პარტიებს უწოდებდნენ, რეალურად პოლიტიკურ პარტიებთან საერთო არაფერი ჰქონდათ. ავტორიტარული რეჟიმისთვის ეს იყო ძალაუფლების სამუდამოდ შენარჩუნების ინსტრუმენტი. რეალური ოპოზიციისთვის ადგილი არ იყო.

საბჭოთა სისტემის დამახასიათებელი ნიშნები იყო ტერორი და დიქტატურა. ჰქონდათ დამსჯელი, სარეპრესიო ორგანოები, რომელთა საშუალებითაც იმორჩილებდნენ მილიონობით ადამიანს და ატარებდნენ მათ იდეოლოგიას. შესაბამისად ისეთ ქვეყანაში, სადაც დიქტატურა და ტერორი იყო, შეუძლებელი იყო დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა ჩამოყალიბებულიყო. ამიტომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის უცხო იყო პარტიული ცხოვრება. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს გასაბჭოებამდეც არ ჰქონდა დამოუკიდებლობის გამოცდილება.

„საქართველოს დამოუკიდებლობა სულ ორ-ნახევარ წელს გაგრძელდა, 1918–1921 წლებში. მას შემდეგ საბჭოთა რეპრესიებმა რამდენიმე თაობის განმავლობაში ერის საუკეთესო შვილები შეიწირა.“ (მაცაბერიძე) არჩევნების ჩატარებაც ერთხელ

მოხერხდა, შესაბამისად ხალხს არ ჰქონდა გაცნობიერებული და სისხლში გამჯდარი ის რომ პარტიული ცხოვრებით და პოლიტიკაში მონაწილეობით შეეძლოთ სასურველი პოლიტიკის გატარება საქართველოში.

დღესაც კი დემოკრატიის და შიდაპარტიული დემოკრატიის მხრივ საქართველო დიდი გამოწვევების წინაშე დგას. პარტიები და საზოგადოების წევრებიც არ არიან მოტივირებულები, რომ შიდაპარტიული დემოკრატია განვითარდეს.

იმისათვის რომ შევიტყოთ ქართული პოლიტიკური პარტიების შიდაპარტიული დემოკრატიის შესახებ, პირველ რიგში მათ წესდებებს უნდა გავეცნოთ. პოლიტიკური პარტიის წესდება არის პოლიტიკური პარტიის ოფიციალური დოკუმენტი, სადაც გაცხადებულია თუ რა მიზნებს და ამოცანებს ემსახურება პარტია, როგორ არის ორგანიზებული პარტიის მუშაობა, რა უფლებები და მოვალეობები აქვს პარტიის წევრს და აღმასრულებელ პირებს. წესდება მოგვცემს ზოგად სურათს თუ რაზე ამახვილებენ ყურადღებას პარტიები, რა არის წარმოდგენილი, რა არ არის აღნიშნული და რა უნდა იყოს. გასათვალისწინებელი ფაქტორია ის, რომ წესდების არსებობა სავალდებულოა პარტიებისთვის. ვფიქრობ ეს მოთხოვნა რომ არ იყოს სახელმწიფოს მხრიდან, პარტიების უმრავლესობას წესდებაც არ ექნებოდა. პრობლემა რაც დავინახე მათი გაცნობისას, არის ის, რომ წესდებები თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, შაბლონურია. მხოლოდ მოთხოვნილი კატეგორიები აქვთ შეტანილი.

კონკრეტულად გავეცანი 4 პოლიტიკური პარტიის წესდებას, რომელიც 2016 წლის არჩევნების შემდეგ საპარლამენტო ორგანოში მთავარ პოლიტიკურ ჯგუფებად ჩამოყალიბდნენ. ესენია:

1. ქართული ოცნება
2. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
3. საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
4. ევროპული საქართველო

აღნიშნული პარტიების დებულებების გაცნობისას, აშკარა ხდება, რომ წესდებები მხოლოდ მცირედით თუ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

პირველ რიგში წესდებებში პარტიები ასახელებენ საკუთარ მიზნებს, ამოცანებს და ამ მიზნების განხორციელების გზებს. პოლიტიკური პარტიები მიუთითებენ საკუთარ ორიენტაციას. მაგალითად, ქართული ოცნების წესდებაში გაცხადებულია, რომ ისინი

მემარცხენე ძალას წარმოადგენენ, ხოლო პატრიოტთა ალიანსი მიუთითებს რომ ისინი მემარჯვენეები არიან და ა.შ.

რა კრიტერიუმები უნდა გამოყონ პარტიებმა:

- **პარტიის წევრთა უფლებები**

- **წევრთა ძირითადი უფლებები**

წევრთა ძირითადი უფლებები ვრცელდება პარტიის ყველა წევრზე და ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია თუ მინიმუმ რა უფლებები აქვს თითოეულ წევრს მათი თანამდებობრივი მდგომარეობის მიუხედავად. უმნიშვნელოვანესია სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, რომელიც მინიმალური სტანდარტია შიდაპარტიული დემოკრატიისთვის. პარტიის წევრებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება და ასევე მათ უნდა შეეძლოთ განიხილონ საკუთარი პოზიცია პარტიის სხვა წევრებთან. წევრთა უფლებები არის პარტიის ინკლუზიურობის ერთ-ერთი საზომი.

ოთხივე პარტიის წესდებაში მითითებულია თუ ვინ შეიძლება გახდეს პარტიის წევრი და რა უფლება-მოვალეობანი აქვთ მათ. „ევროპული საქართველო“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გამოყოფს იმ ფაქტს, რომ დაუშვებელია გაერთიანების წევრობის შეზღუდვა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ეს შეგვიძლია მივიჩნოით ინკლუზიურობის ერთ-ერთ გამოვლინებად.

წესდებების მიხედვით, პარტიის წევრებს უფლება აქვთ გაეცნონ პარტიის საქმიანობას და ჩაერთონ მათში, მიიღონ მონაწილეობა პარტიის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა არჩევაში, კითხვით მიმართონ პარტიის შესაბამის ორგანოებს და მიიღონ მათგან პასუხი.

ზემოთ აღნიშნულია თუ რამდენად მნიშვნელოვანია სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, მაშინ როდესაც პარტიის დემოკრატიულ განვითარებას ვიკვლევთ. ამ

კრიტერიუმის მიხედვით, მაგალითად, „ქართული ოცნების“ წესდებაში მითითებულია, რომ პარტიის წევრმა მონაწილეობა არ უნდა მიიღოს საქმიანობაში და არ გააკეთოს განცხადება, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიის პოლიტიკურ კურსს, პოზიციას, მიზანსა და ამოცანებს. შესაბამისად, ვფიქრობ, შიდაპარტიული დემოკრატიის ეს კომპონენტი გამოსასწორებელია რადგან, თუ პარტიის წევრი არ დაეთანხმა პარტიის მოსაზრებას, იგი გარიყული აღმოჩნდება. შესაძლოა, მან საერთოდ ვერ გამოთქვას აზრი, იმ მიზეზით რომ პარტია მას ვერ გაუგებს და მისი აზრი მიუღებელი აღმოჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ დანარჩენი სამი პარტიის წესდებაში მსგავსი დებულება არ არის, არ ნიშნავს, რომ პარტიებს იგივე დამოკიდებულება არ აქვთ.

ერთია, რომ პარტიის წევრებს თავისი აზრის გამოხატვის უფლება უნდა ჰქონდეთ და მეორე, რამდენად აძლევს პარტია ამის საშუალებას. მაგალითად, გამოხატვის თავისუფლება დამოკიდებულია კენჭისყრის პროცედურაზე.

დემოკრატიულად ითვლება კენჭისყრის ფარული პროცედურები, რადგან ნაკლები შანსია დაშინების ან სხვა ფაქტორებისა, რომელიც აიძულებს პარტიის წევრს მიჰყვეს პარტიულ ხაზს. აღნიშნული კატეგორია შიდაპარტიული კვლევისას განსაზღვრავს ინკლუზიურობის ხარისხს, რომელიც ასევე მოიკოჭლებს. მაგალითისთვის, „ევროპულ საქართველოში“ კენჭისყრის პროცედურები ფარული არაა, ხელის აწევით მიმდინარეობს.

„ყრილობა უფლებამოსილია თუ მას ესწრება დელეგატთა ნახევარზე მეტი, ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება ყრილობაზე დამსწრე დელეგატთა ხმების უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. გაერთიანების თანამდებობაზე არჩევისას, წესდებაში ცვლილების შეტანისას, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ ღია კენჭისყრამ ხელის აწევით მკაფიოდ არ გამოავლინა ყრილობაზე დამსწრე დელეგატთა ნება, კენჭისყრა ტარდება სახელობითი ბიულეტენებით“.

შესაბამისად, აქ ძალიან დიდი შანსია, რომ პარტიის წევრი იძულებული გახდეს და მიჰყვეს პარტიის ხაზს, რაც შიდაპარტიული დემოკრატიის დაბალ ხარისხზე მეტყველებს.

- **უმცირესობათა უფლებები**

უმცირესობათა უფლებების დაცვა პარტიებისთვის მნიშვნელოვანი საკითხი უნდა იყოს. ისეთი ჯგუფებს, როგორიცაა ქალები, ახალგაზრდები და ეთნიკური უმცირესობები, პარტიული პოლიტიკის გატარების პროცესში მნიშვნელოვან ყურადღებას უნდა უთმობდნენ. ეს კრიტერიუმი ასევე ინკლუზიურობის საზომად შეიძლება გამოვიყენოთ.

საკვლევი პარტიის წესდებებში ძირითადად მოხსენებული ქალთა და ახალგაზრდული ორგანიზაციები. რომლის შექმნის უფლებაც აქვთ პარტიის ბაზაზე, თუმცა სხვა უმცირესობების შესახებ არ არის საუბარი.

„გაერთიანების სტრუქტურული ერთეულია გაერთიანების ქალთა ორგანიზაცია. ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარეს და 15-წევრიან საბჭოს ირჩევს ქალთა ორგანიზაციის ყრილობა. ქალთა ორგანიზაცია ფუნქციონირებას ახორციელებს ორგანიზაციის დებულებით, რომელსაც, ასევე, ამტკიცებს ქალთა ორგანიზაციის ყრილობა. ყრილობა ტარდება ოთხ წელიწადში ერთხელ მაინც“- (ევროპული საქართველოს წესდებიდან)

- **პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურა**

იმისათვის რომ პარტია დემოკრატიულად განვითარდეს მნიშვნელოვანია ჰქონდეს პარტიული ორგანოები, რომლებსაც გადანაწილებული ექნებათ სხვადასხვა ფუნქციები. ასეთია წესი, მათთვის ვისაც დემოკრატიულ პარტიად სურთ ჩამოყალიბება.

პარტიული სტრუქტურების შესწავლისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ თითოეული ორგანოს ფუნქციაზე. მნიშვნელოვანია პარტიის ყრილობის უფლებამოსილებები, პარტიის თავმჯდომარისა და პოლიტიკური საბჭოს უფლება-მოსილებები. ასევე, რა მიმართება იკვეთება მათ შორის. ასევე, საინტერესოა აქვთ თუ არა განსახილველ პარტიებს შიდაპარტიული სასამართლო ორგანო, რომელიც განიხილავს პარტიაში არსებულ დავებს და იღებს გადაწყვეტილებას მათ შესახებ. პარტიის თითოეული სტრუქტურა გარდა სასამართლო ორგანოსი პირდაპირ უნდა გამოხატავდეს პარტიის წევრთა აზრს და მათ გადაწყვეტილებას.

ზემოთ აღნიშნული ოთხი პარტიის წესდების შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

- **პარტიის ყრილობა** - პარტიების უმაღლესი ხელმძღვანელი და წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც რამდენიმე წელიწადში იკრიბება მნიშვნელოვანი საკითხების

გადასაჭრელად. პარტიის ყრილობა წყვეტს წესდებაში არსებულ საკითხებს და ირჩევს პარტიულ პროგრამას. პარტიის ყრილობაზე უნდა აირჩეს პარტიის თავმჯდომარე და დელეგატები სხვადასხვა ადგილობრივი წარმომადგენლობიდან. ყრილობის მოწვევის თარიღს განსაზღვრავს თითოეული პარტია დამოუკიდებლად. უმეტეს შემთხვევაში ეს რამდენიმე წელიწადში ერთხელ ხდება. მაგალითად, კანონმდებლობით 4 წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ჩატარდეს პარტიის ყრილობა. საკვლევი 4 პარტიიდან სამი-ოთხ წლიან შუალედს მიუთითებს, ხოლო განსხვავებულია „პატრიოტთა ალიანსი“, რომელიც ყრილობებს სამ წელიწადში ერთხელ მაინც იწვევს. შიდაპარტიული დემოკრატიის სტანდარტებიდან გამომდინარე, პარტიის უმაღლესი წარმომადგენლობები ძალიან ხშირად არ უნდა იკრიბებოდნენ. ეს ნიშნავს, რომ პარტიაში არ არის შიდაპარტიული პროცესები განვითარებული.

- **ეროვნული აღმასრულებელი ორგანო** აღნიშნული პარტიების შემთხვევაში არის პარტიის პოლიტიკური საბჭო. აღმასრულებელი ორგანო დაკომპლექტებულია პარტიის ლიდერთა მიერ.

მაგალითად, პოლიტიკური საბჭოს კომპეტენციებში შედის:
ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება, სტრატეგიული დოკუმენტების დამტკიცება, ბიუჯეტის დამტკიცება, ყველა დონის არჩევნების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ასევე, გადაწყვეტილების მიღება კოალიციაში გაერთიანების თაობაზე. პოლიტიკური საბჭოს კომპეტენციაა ასევე პარტიული ქვედანაყოფების ზედამხედველობა. აღნიშნული პარტიების პოლიტიკური საბჭოები ანგარიშვალდებულნი არიან ყრილობის წინაშე.

შიდაპარტიული დემოკრატიის კვლევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორაა განაწილებული კომპეტენციები ორგანოებს შორის, რათა თავიდან იქნას აცილებული ავტოკრატიული მმართველობა. საუკეთესო შემთხვევაში, პარტიის აღმასრულებელი ორგანოები ანგარიშვალდებულნი უნდა იყვნენ პარტიის უფრო მეტად ინკლუზიური ორგანოების მიმართ. მაგალითად პარტიის ყრილობის ან სპეციალური მაკონტროლებელის მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს სპეციალური ორგანო, რომელსაც ექნება შესაძლებლობა იმსჯელოს პარტიის ლიდერთა გადაცდომებზე. იგი უნდა იყოს დამოუკიდებელი პარტიის ლიდერების ზეგავლენისაგან და ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა რომ ნებისმიერ პარტიის

წევრს, პარტიის ლიდერების ჩათვლით დააკისროს დისციპლინარული სასჯელი, თუკი მათი ქმედებები პარტიის საქმიანობას აზიანებს და ხელს უშლის. მაგალითად, გერმანიაში პარტიულ სასამართლოებს აქვთ უფლება განიხილონ საკითხები, რომლებიც ეხება პარტიის წესდებებს და საარჩევნო დავებს. პარტიულ სასამართლოებს აქვთ ისეთი დისციპლინური სასჯელების გამოყენების უფლება როგორიცაა: საყვედური, პარტიული საქმიანობის დროებითი აკრძალვა ან პარტიიდან გარიცხვა.

შიდაპარტიული დემოკრატიის მაღალი სტანდარტის პირობებში სპეციალური სამსახური უნდა იცავდეს პარტიის ყოველ წევრს ლიდერთა ზეგავლენისაგან.

პოლიტიკურ საბჭოს, მაგალითად, „ქართულ ოცნებაში“ შეთავსებული აქვს საჩივრების განხილვის ფუნქციაც, რაც წესით ცალკე ორგანოს უნდა ჰქონდეს და დაისმის კითხვა ვინ განიხილავს მათ გადაცდომებს? ისინი ვალდებულნი არიან ყრილობის წინაშე, რომელიც 4 წელიწადში ერთხელ ტარდება, რიგგარეშე კრება კი ან თვითონ უნდა მოიწვიონ ან პარტიის წევრების სოლიდურმა რაოდენობამ, ასე რომ რაოდენობრივად თუ ბევრი წევრი არ მოითხოვს მათი ქმედებების განხილვას, სხვა გზა არ არსებობს. ერთადერთი მაკონტროლებელი ორგანოა სარევიზიო კომისია, რომელსაც ძირითადად, ფინანსური კუთხით შეუძლია პარტიის საქმიანობა გააკონტროლოს, ასევე „ევროპული საქართველოს“ შემთხვევაში წევრთა აღრიცხვა გააკონტროლოს. სხვა კომპეტენციები არ არის მითითებული, რაც მიუთითებს შიდაპარტიული კონტროლის სისუსტეზე.

- **პარტიის თავმჯდომარე**

პარტიის თავმჯდომარე ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა და შესაბამისად მას პარტიის წესდებაში და შიდაპარტიული დემოკრატიის კვლევისას მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება. შიდაპარტიული დემოკრატიის გადმოსახედიდან პარტიის პრეზიდენტის უფლებები შეზღუდული უნდა იყოს, რათა იგი არ იქცეს ერთპიროვნულ მმართველად. განსაკუთრებით, ეს პრობლემა დამახასიათებელია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის. „პოსტ-კომუნისტური პარტიების სპეციფიური ფენომენი ისაა, რომ გარდამავალი პერიოდისას ისინი ლიდერზე ორიენტირებული პარტიები იყვნენ. პარტიები შეიქმნა და ფორმირდა ლიდერების და მათი მოკავშირეების მიერ, რომლებმაც მოიპოვეს დიდი ძალაუფლება“ (Karasimeonov 2005, pp. 104–105)

პარტიის პრეზიდენტის უფლება-მოსილება განსაზღვრავს თუ რამდენად ინკლუზიური და დეცენტრალიზებულია პარტია. რაც მაღალია პრეზიდენტის უფლებები და პრეროგატივები, მით დაბალია ინკლუზიურობისა და დეცენტრალიზაციის დონე.

სამიზნე პარტიებში პარტიის თავმჯდომარე არის ხელმძღვანელი პირი, მას შეუძლია დაასახელოს გენერალური მდივანი ან მიმართოს საბჭოს მისი გადაყენების ინიციატივით, იგი წარმოადგენს პარტიას, ქვეყნის შიგნით და გარეთ. მაგალითად, „ქართულ ოცნებაში“ პარტიის თავმჯდომარე ერთპიროვნულად წარმოადგენს პარტიას და შეუძლია მისი სახელით გააკეთოს განცხადებები და ასევე მოაწეროს დოკუმენტებს ხელი.

საინტერესოა, ფაქტი რომ საკვლევი პარტიებიდან მხოლოდ „პატრიოტთა ალიანსს“ აქვს მითითებული, რომ პარტიის თავმჯდომარედ ერთი პიროვნების არჩევა ზედიზედ სამჯერ დაუშვებელია. ქართულ პოლიტიკურ პარტიებში კი ძალიან ბევრია ისეთი პარტია, რომელსაც დაარსებიდან, რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ერთი თავმჯდომარე ჰყავს.

ვფიქრობ, პარტიის თავმჯდომარის პოსტი უნდა იცვლებოდეს და სავალდებულოც უნდა იყოს ამის აღნიშვნა წესდებაში. პარტიაში უნდა ხდებოდეს ადგილების მონაცვლეობა და პარტიის წევრებს მიეცეთ საშუალება გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, რის საშუალებასაც არ მისცემს „გაბატონებული“ ლიდერი. ამ ფაქტის გამო პარტიული კონკურენციაც ნაკლები იქნება, რადგან შეუძლებელი იქნება წევრისთვის თავმჯდომარის ან სხვა მაღალი თანამდებობის დაკავება.

ურთიერთობა ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე

პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურის განხილვისას საჭიროა შევისწავლოთ როლების განაწილება პარტიის ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე. შიდაპარტიული დემოკრატიის დონის განსაზღვრისას დეცენტრალიზაციას ეროვნულ და რეგიონულ ორგანოებს შორის მნიშვნელოვანი საკითხია. „შიდაპარტიული დემოკრატიის ეს ასპექტი გვაძლევს წარმოდგენას ძალაუფლების ცენტრალიზაციისა და კონცენტრაციის დონის შესახებ პარტიის ლიდერებსა და პარტიის მაღალ ინსტიტუტებში“. (Karasimeonov, 2005). რეგიონალური დონის ორგანიზაციების მაღალი პოლიტიკური მნიშვნელობა ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია შიდაპარტიული დემოკრატიის კვლევისას.

ინკლუზიურობა და დეცენტრალიზაცია, ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, როდესაც ადგილობრივ ორგანიზაციებთან დამოკიდებულებაზეა საუბარი. რაც უფრო მაღალია ინკლუზიურობა და დეცენტრალიზაციის დონე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მით უფრო დემოკრატიულია პოლიტიკური პარტია.

რეალურად, საკვლევი პარტიების წესდებებში რეგიონალურ ოფისებთან მიმართებაში ყველაფერი ცხადად არ არის მითითებული. პარტიის საოლქო ორგანიზაცია (რეგიონული/ საქალაქო) არის პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფი.

„სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებას ამტკიცებს პარტიის პოლიტიკური საბჭო. სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი პარტიის პოლიტიკური საბჭოს წარდგინებით აირჩევა შესაბამისი ორგანიზაციის კონფერენციაზე. სტრუქტურული ქვედანაყოფი ვალდებულია შეასრულოს პარტიის ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში მიცემული დავალებები.“ („ ქართული ოცნება“)

„პატრიოტთა ალიანსის“ წესდებაში კი მითითებულია, რომ „საჭიროებისამებრ, პარტია ქმნის სასოფლო, საუბნო, რაიონულ, საქალაქო და რეგიონულ ორგანიზაციებს, რომელთა აღმასრულებელი ორგანოები ბიუროებია“ (წესდება „პატრიოტთა ალიანსი“).

ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობას „პატრიოტთა ალიანსში“ ხელმძღვანელობს პარტიის სამდივნო, რომელიც თავმჯდომარესთან შეთანხმებით ქმნის და აუქმებს ორგანიზაციებს და ასევე შეიმუშავებს და ამტკიცებს მათ სამუშაო დოკუმენტებს. აქ ყურადღებას გავამახვილებ სიტყვაზე „შეიმუშავებს“. შიდაპარტიული დემოკრატიის პირობებში ადგილობრივი ორგანიზაციები უნდა მოქმედებდნენ თავისუფლად და საკუთარ სამუშაო გეგმასაც თვითონ უნდა ქმნიდნენ. ამ შემთხვევაში

კი საჭირო დოკუმენტებს პარტიის ცენტრალური ოფისი ქმნის, რაც ვფიქრობ ნიშნავს რომ პარტია ნაკლებად დეცენტრალიზებულია.

მსგავსი სიტუაცია გვხვდება დანარჩენ პარტიებშიც, სადაც ორგანიზაციების სამუშაო დებულებას შეიმუშავებენ და ქმნიან პარტიის აღმასრულებელი ერთეულები.

აღნიშნული ინდიკატორი მიგვითითებს თუ რა დამოკიდებულება არსებობს პარტიის სხვადასხვა დონეებზე. ბილლის მიერ გამოიყო ექვსი პარტიული კატეგორია ამ კრიტერიუმის მიხედვით. ყველაზე ცენტრალიზებულიდან ყველაზე ლოკალურამდე. ძალიან ცენტრალიზებულ პარტიებში ეროვნულ დონეზე არსებული ორგანოები განაგებენ პროცესებს, ხოლო ლოკალურის შემთხვევაში ადგილობრივ ორგანოებს აქვთ კონტროლი კანდიდატების შერჩევის პროცესზე.

მაღალი ინკლუზიურობის პარტიაში კანდიდატად საკუთარი თავის დასახელება ყველა წევრს შეუძლია. საშუალოდ ინკლუზიურ და საშუალოდ დეცენტრალიზებულ პარტიებში კი საჭიროა პარტიის წევრების ან კონგრესის მხარდაჭერა. რაც შეხება ცენტრალიზებულ და ექსკლუზიურ პარტიებს კანდიდატების ნომინირება ლიდერთა პრეროგატივაა. კანდიდატების ნომინირების შესწავლა გვაძლევს საშუალებას, შევიტყოთ თუ პარტიის რომელ ნაწილს აქვს უფლება პირველად დაასახელოს კანდიდატი.

როგორც შათშნაიდერი მიუთითებდა, ის ვინც ამ პროცესზე ახდენს გავლენას, ისაა პარტიის მფლობელიც . საპრეზიდენტო სისტემებში საკითხი ეხება საპრეზიდენტო კანდიდატურის არჩევას, ხოლო საპარლამენტო სისტემებში კი საპარლამენტო სიის შედგენისას ვინ რომელ პოზიციაზე მოხვდება პარტიაში ჩატარებული არჩევნებით უნდა გადაწყდეს. ხოლო ვის ექნება კანდიდატებისთვის ხმის მიცემის უფლება, ეს განსაზღვრავს პარტიის ინკლუზიურობას.

აღნიშნული პარტიების წესდებებში კანდიდატების დასახელების მხრივ, შემდეგი სიტუაციაა.

მაგალითად, „ქართული ოცნების“ ადგილობრივი ორგანიზაციები ყრილობაზე მოსაწვევ დელეგატებს თავად ირჩევენ და ამ მიზნით ატარებენ კონფერენციას. სტრუქტურული ქვედანაყოფების თავმჯდომარეების კანდიდატურებს კი პოლიტიკური საბჭო ამტკიცებს. პარტიის ცენტრალური აპარატი კი უზრუნველყოფს პარტიის ორგანოების, თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაციას.

მსგავსი მდგომარეობაა „პარტიოტთა ალიანსში“ სადაც ყრილობაზე ადგილობრივი ორგანიზაციები ირჩევენ წარსადგენ დელეგატებს. სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები წესდებაში არ იკვეთება.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაში მხოლოდ ის არის მითითებული, რომ დელეგატთა არჩევის წესს განსაზღვრავს პოლიტიკური საბჭო. რაც შეეხება სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, მათ სტრუქტურასა და დებულებებს ამტკიცებს პოლიტიკური საბჭო. ასევე, ამ ქვედანაყოფების კონფერენციების შედეგებს განიხილავს. კანდიდატების შერჩევის გზა, კერძოდ, კი პრაიმერი, მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წესდებაშია აღნიშნული, რაც საქართველოში ახალია.

„ნაციონალური მოძრაობის“ წესდებაში ცალკე თავი აქვს მიძღვნილი საქალაქო, რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს. მისი არჩევა ხდება შესაბამისი ორგანიზაციის კონფერენციაზე 2 წლის ვადით, რომელსაც პოლიტიკური საბჭო ამტკიცებს. ორგანიზაციის დებულებას რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე წარუდგენს ასევე პოლიტიკურ საბჭოს. მისი გადაყენება კი შეუძლია ორგანიზაციის წევრთა 1/3-ს და ასევე პოლიტიკურ საბჭოს.

თავი მეორე: „საქართველოს კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“; პოლიტიკური პრინციპები და ფაქტის კავშირი შიდაპარტიულ დემოკრატიასთან

2.1 საქართველოს კანონის ძირითადი პოლიტიკური პრინციპები

კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ გამოქვეყნდა 1997 წელს. კანონი არეგულირებს შემდეგ საკითხებს, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს ეხება. კერძოდ: პოლიტიკურ პარტიად რეგისტრაცია, პარტიის ქონება და ფინანსები, პარტიის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი და პარტიის საქმიანობის შეწყვეტა. ეს კანონი ზოგადად განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს მოქალაქეთა გაერთიანებამ, რომელსაც შემდგომში პოლიტიკურ პარტიად სურს ჩამოყალიბება.

კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ განსაზღვრავს, თუ რა პრინციპები უნდა დაედოს პარტიის შექმნასა და საქმიანობას.

1. პარტიაში გაწევრიანება და პარტიიდან გასვლა ნებაყოფლობითია;
2. დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა;
3. არჩევითობა და ანგარიშვალდებულება;
4. პარტიების თანასწორობა კანონის წინაშე;
5. პარტიის შექმნისა და საქმიანობის საჯაროობა (კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, მუხლი 3).

იმისათვის, რომ პარტია იყოს დემოკრატიული და საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული, პირველ რიგში საჭიროა პარტიის წევრად მიღება და პარტიის წევრობიდან გასვლა ნებაყოფლობითი იყოს. პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანება არ უნდა იყოს იძულებითი, ხოლო პარტიიდან გასვლა კი პრობლემური. საბჭოთა კავშირის პერიოდში აუცილებელი იყო პარტიის წევრობა იმისთვის, რომ შემდგომ საქმიანობაში ხელი არ შეშლოდა მოქალაქეს. პარტიაში გაუწევრიანებლობაც ერთგვარი „პრობლემა“ იყო. ამიტომ მოქალაქეები იძულებულნი იყვნენ ეთანხმებოდნენ თუ არა პარტიის იდეოლოგიას ყოფილიყვნენ მის შემადგენლობაში. საბჭოთა კავშირის დროს მხოლოდ ერთი პარტია იყო, დღეს კი ეს რიცხვი საკმაოდ დიდია. ამიტომ მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ უფლება გაწევრიანდნენ და გამოვიდნენ პარტიიდან თავისუფლად.

სწორედ ეს თავისუფლება უნდა იყოს პარტიისთვის ერთგვარი სტიმული, რათა რაც შეიძლება მეტი მოქალაქე მოიზიდონ და შეინარჩუნონ კიდეც ისინი.

საქართველოს კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ განსაზღვრავს პოლიტიკური პარტიის შექმნისა და საქმიანობის წესს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, პოლიტიკური პარტიის შექმნა და საქმიანობა უნდა იყოს საჯარო. პოლიტიკური პარტიების შექმნა „იატაკქვეშ“ არ ხდება. მოქალაქეთა ჯგუფს, როდესაც სურს საკუთარი პოლიტიკური იდეები საჯარო სივრცეში გამოიტანონ, ვალდებულნი არიან კანონის ფარგლებში იმოქმედონ და შეასრულონ მოთხოვნები, რომელიც ამავე კანონშია გაწერილი. იმისთვის, რომ პოლიტიკური პარტია შეიქმნას, მოქალაქეთა არანაკლებ 300-კაციანი ჯგუფი ატარებს დამფუძნებელ ყრილობას. მას შესაძლოა უწოდონ კონფერენცია, კონგრესი, ასამბლეა და სხვა.

1. პარტიამ უნდა მიიღოს წესდება ანუ პოლიტიკური პარტიის დოკუმენტი, რომელშიც იგი განაცხადებს საკუთარი პოლიტიკური იდეოლოგიის, მიზნების, ამოცანების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ დამოკიდებულებას.
2. დამფუძნებელ ყრილობას უნდა ესწრებოდეს ნოტარიუსი და დაამოწმოს ოქმით.

საქართველოს კანონმდებლობით 300 მოქალაქეს შეუძლია ყრილობის ჩატარება და პარტიის დაფუძნება. ასევე აუცილებელია 1000 კაციანი მხარდამჭერთა სიის წარდგენა, თუმცა, ვფიქრობ ამ რიცხვის გაზრდა სასარგებლო იქნება, რადგან აღარ შეიქმნება „ფეიქ“ პარტიები და პოლიტიკურ ველზე ისეთი გაერთიანებები იქნებიან წარმოდგენილნი, რომლებსაც სოლიდური წარმომადგენლობა ეყოლება.

პოლიტიკური პარტიის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია პარტიის წესდება, რაც აუცილებელი პირობაა პარტიის დაფუძნებისთვის. მისი შედგენის სტანდარტები ამავე კანონითაა განსაზღვრული, მოცემულია ერთგვარი შაბლონი. აღნიშნული კანონით პარტიის წესდებაში უნდა აღინიშნოს პარტიის:

1. სახელწოდება, აგრეთვე მისი შემოკლებული დასახელება, თუ ასეთი გამოიყენება;
2. იურიდიული მისამართი;
3. საქმიანობის მიზნები (ამოცანები) და მათი განხორციელების ფორმები;
4. წევრად მიღებისა და წევრობის შეწყვეტის წესი და პირობები; წევრის უფლება-მოვალეობები;
5. ორგანიზაციული სტრუქტურა;

6. ხელმძღვანელი, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანოების შექმნის წესი, მათი კომპეტენცია და უფლებამოსილების ვადა;
7. ზოგად და სპეციალურ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და წარმომადგენლობის ფარგლები.

კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, პოლიტიკური პარტიის დაფუძნების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ საკუთარი პარტიის წესდება, რომელიც იქნება მათი სამუშაო სქემა და ასევე მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიმცემი, პარტიის ღირებულებათა სისტემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნული აუცილებელი პუნქტები საკვლევი პარტიებიდან ყველას აქვს, იმიტომ, რომ კანონი ითხოვს ამას და მისი შეუსრულებლობის გარეშე პარტიად რეგისტრაცია არ მოხდება. თუმცა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც შიდაპარტიული დემოკრატიაა არც კანონშია ნახსენები და არც რომელიმე პარტიის წესდებაში, იმიტომ რომ აუცილებელი არ არის. როდესაც კანონმდებლობა მოთხოვნებს წაუყენებს პარტიებს, მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი შიდაპარტიულ დემოკრატიაზე ზრუნვის დაწყება ორგანიზაციების მხრიდან და შესაბამისი პროცედურების შემოღება.

პოლიტიკური პარტიების საქმიანობისას შიდაპარტიული დემოკრატიის მაღალი ხარისხი, მთელი სახელმწიფოს პოლიტიკურ სისტემაზე ახდენს გავლენას. დღევანდელი სიტუაციიდან მხოლოდ წევრებს შეუძლიათ საკუთარი აქტივობებით აიძულონ პარტია გახდეს დემოკრატიული შიდაპარტიული თვალსაზრისით.

ჩემი დაკვირვებით, შესასწავლი ოთხი პარტიის წესდებებიდან გამომდინარე, პრობლემა არის შაბლონურობა. პოლიტიკურ პარტიათა უმრავლესობას აქვს შაბლონური წესდება და რეალურად რამდენად მუშაობს გამართულად მათი სისტემა და რამდენად რეალურია მათი დემოკრატიულიობა, რთული გასარკვევია.

2.2 ევროპის ქვეყნების პარტიული კანონმდებლობა

თანამდროვე ეპოქაში მნიშვნელოვნად იზრდება პარტიული ორგანიზაციების შესწავლა, სხვადასხვა ასპექტის მიხედვით და შესაბამისად იზრდება მათ რეგულაციები სახელმწიფოს მხრიდან. ევროპულ სისტემებში პოლიტიკური პარტიები პირველ რიგში განიხილება, როგორც კერძო და მოხალისეობრივ ორგანიზაციებად. დიდი ხნის განმავლობაში პოლიტიკური პარტიები სახელმწიფო რეგულაციების გარეშე მოქმედებდნენ, თუმცა ბოლო პერიოდში, სახელმწიფომ მოახდინა პარტიათა ორგანიზაციულ პროცესში ინტერვენცია. პარტიების აქტივობა, შიდა ორგანიზაციული სტრუქტურა განსაზღვრულია კანონმდებლობის მიერ. სახელმწიფოს მხრიდან რეგულაციების შემოღება განაპირობა მაგალითად, პარტიების საზოგადოებრივმა დაფინანსებამ, რისთვისაც პარტიების საქმიანობის შესახებ გახდა საჭირო ინფორმაციის ქონა. სწორედ ამისთვის გახდა საჭირო სპეციალური კოდირებული სისტემის შექმნა.

ბოლო წლების განმავლობაში შიდაპარტიული დემოკრატიის მნიშვნელობაზე პოლიტიკოსები, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები ამახვილებენ ყურადღებას.

მაგალითად, ვენეციის კომისიის მოსაზრებაა, რომ პოლიტიკური პარტიების რეგულაციები უნდა იყოს ისეთი, რომ პარტიებმა არ დაკარგონ უფლება თავისუფალი გაერთიანებისა და საკუთარი შიდა საკითხების გადაწყვეტისა, ამიტომ მათი აზრით, რეგულაციები სიფრთხილით უნდა იქნეს მიღებული.

ამ საკითხთან დაკავშირებით, მრავალი ანალიტიკოსი მიიჩნევს რომ ჩართულობა შიდა არჩევნებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მრავალი სარგებლის მომტანია. მაგალითად, შიდაპარტიული დემოკრატიის პროცესში ახალი წევრების ჩართულობის შესაძლებლობა და ასევე ლეგიტიმაციის ხარისხის გაზრდა.

კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ დაკავშირებულია სახელმწიფოს სხვა კანონებთან, მაგალითად საარჩევნო კანონთან, ფინანსურ კანონთან და ა. შ

მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდში პოლიტიკური პარტიები სახელმწიფო კანონმდებლობის, კონსტიტუციის ნაწილი არ ყოფილა. მისი კონსტიტუციონალიზება სწორედ ომის შემდგომ პერიოდში დაიწყო, ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში.

ევროპის ქვეყნებიდან პირველად, პარტიის განსაზღვრება კონსტიტუციაში შეიტანა ისლანდიამ 1944 წელს, შემდგომ ავსტრიამ, იტალიამ, გერმანიამ, საფრანგეთმა და ა.შ.

პარტიული კანონმდებლობა განსაზღვრავს საკითხთა მრავალ ასპექტს, რომელიც პარტიას შეეხება. ამ საკითხებში მოიაზრება პარტიის ლეგალური სტატუსი, მათი შიდა ორგანიზების ფორმები, მექანიზმები რითაც იღებენ გადაწყვეტილებას კანდიდატების შერჩევის პროცესში, მათი აქტივობების და ფინანსების საკითხები და ასევე მონიტორინგი და სანქციები, რომელიც გამოიყენება პარტიული გადაცდომისთვის. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ასევე მოიცავს მექანიზმს საჯარო თანამდებობაზე არჩევის წესს, მოთხოვნებს რომლის მიხედვითაც არის დაბალანსებული პარტიის საარჩევნო სია გენდერული და ეთნიკური კუთხით. ასევე წესები, რომლის მიხედვითაც აირჩევა შიდაპარტიული თანამდებობები.

პარტიული კანონმდებლობის შემოღებამ, მაგალითად გერმანიას მისცა შესაძლებლობა მხოლოდ დემოკრატიულ პრინციპებზე დაარსებული ორგანიზაციები დაეშვა პოლიტიკურ სივრცეში. ასევე, გაეკონტროლებინა და აღეკვეთა არასასურველი და ანტიდემოკრატიული პარტიების შექმნა, მაგალითად ნაცისტური და კომუნისტური პარტიები. გერმანიის მაგალითს მიბაძა სხვა ქვეყნებმაც და მათ კანონმდებლობაშიც გაჩნდა მოთხოვნა ორგანიზაციების დემოკრატიული მოწყობის შესახებ.

მაგალითად, ესპანეთი პოლიტიკური პარტიებისგან ითხოვს დემოკრატიას არამარტო ორგანიზაციულ დონეზე, არამედ ფუნქციურ დემოკრატიასაც. ანუ, პარტიები ვალდებულნი არიან ორგანიზაცია მოქმედებაში იყოს დემოკრატიული. კიდევ უფრო მეტი მოთხოვნები აქვს პორტუგალიის კონსტიტუციას პარტიების მიმართ. პარტიები არამარტო გამჭვირვალობის და დემოკრატიული მენეჯმენტის მიერ უნდა იმართებოდნენ, არამედ, სავალდებულოა ყველა წევრის მონაწილეობა პარტიის მართვაში.

შიდაპარტიული დემოკრატიის საკანონმდებლო დონეზე მოთხოვნა შემდეგ ქვეყნებს აქვთ: გერმანია, ესპანეთი, ხორვატია, პორტუგალია.

გერმანიის კანონი პარტიების შესახებ გახდა მოდელი ახალგაზრდა დემოკრატიებისთვის, მაგალითად, ესპანეთისა და პორტუგალიისთვის, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის. მათ გადაიტანეს თავიანთ კონსტიტუციებში მნიშვნელოვანი მოთხოვნები, გარდა შიდაპარტიული დემოკრატიის საკითხისა.

1. ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ავსტრია, ფინეთი, უნგრეთი, ნორვეგია და დიდი ბრიტანეთი ნაკლებ ყურადღებას უთმობენ შიდაპარტიულ პროცედურებს და სტრუქტურებს. მათთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანია ფინანსური მონიტორინგი.

2. მეორე მხარეს არის ისეთი ქვეყნები როგორიცაა: გერმანია, ლატვია და პორტუგალია, რომელთა კანონის დიდი ნაწილი სწორედ შიდაპარტიულ პროცედურების შესახებაა გაწერილი და ყველაზე მეტად ისინი აკონტროლებენ შიდაპარტიულ ორგანიზაციას ყველაზე ინტენსიურად.

გერმანიის კანონის მიხედვით, პარტიის წევრთა ასამბლეა ირჩევს პარტიის აღმასრულებელ კომიტეტს, განსაზღვრავს პარტიის ორგანოთა შემადგენლობას, წყვეტს პარტიის წესდებას და პროგრამას, საარბიტრაჟო პროცესებს, პარტიის დაშლასა და შერწყმას სხვა პარტიასთან. როგორც გერმანიის კანონი, ისე ლატვიის კანონმდებლობაც შეიცავს მსგავს დეტალურად გაწერილ პროგრამას პარტიის წევრის როლის თაობაზე, შიდაპარტიული მონაწილეობის თვალსაზრისით.

ლატვიის კანონში ჩადებულია პარტიის წევრთა განსაკუთრებული უფლებები ლიდერების არჩევასთან დაკავშირებით. ლიდერის და სხვა აღმასრულებელი პირების არჩევა და გადარჩევა პარტიის წევრთა ასამბლეას შეუძლია. ლატვიის კანონით პარტიის წევრთა ასამბლეას შეაქვს ცვლილებები წესდებასა და პროგრამაში, იგი ამტკიცებს ასევე პროგრამას წინასაარჩევნოდ როგორც სეიმისთვის ასევე ევროპის პარლამენტისთვის.

პორტუგალიის და სლოვენიის პარტიული კანონებში, ევროპის საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით დამატებულია კანდიდატების შერჩევის მექანიზმი, გენდერულად დაბალანსებული მონაწილეობისთვის.

პორტუგალიის კანონში აღნიშნულია, რომ პარტიის წესდებამ უნდა უზრუნველყოს პირდაპირი, აქტიური და დაბალანსებული მონაწილეობა, როგორც ქალების, ისე კაცების, გენდერული უთანასწორობის გამორიცხვა.

სლოვენიის კანონით კი პარტიის წესდებამ უნდა განსაზღვროს თანასწორი შესაძლებლობა ორივე სქესისთვის კანდიდატად არჩევის პროცესში.

დასასრულს, ხუთი ევროპული ქვეყნის კანონმდებლობაშია შეტანილი სპეციალური განსაზღვრებები შიდაპარტიული ხმის მიცემის პროცედურების თაობაზე, რომელიც ასევე გულისხმობს ფარულ ხმის მიცემას.

მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი დაწვრილებითი ვალდებულებები სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში არ არის შეტანილი ევროპის მასშტაბით, ტენდენცია ასეთია, რომ შიდაპარტიული კონტროლის მექანიზმები მუდმივად იზრდება.

თავი მესამე. შედარებითი ანალიზი და პარტიული რეგულაციების მნიშვნელობა

3.1 შედარებითი ანალიზი გერმანიის პოლიტიკური პარტიების აქტთან

პარტიული კანონმდებლობის დარგში გერმანიას უზარმაზარი გამოცდილება აქვს და მისი პოლიტიკური რეალობა მოწმობს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პარტიების საქმიანობის რეგულირება.

გერმანიამ აქტი პარტიების შესახებ ჯერ კიდევ 1967 წელს მიიღო. 1940-იან წლებში მოხდა პარტიების კონსტიტუციურ წესრიგში მოქცევა, რაც მანამდე არ იყო მიღებული პრაქტიკა.

გერმანია პარტიული პოლიტიკის კუთხით თვალსაჩინო წარმომადგენელი და მისაბაძია მაგალითია. როდესაც შიდაპარტიულ დემოკრატიას ვახსენებთ, იქ გერმანიის კანონმდებლობა აუცილებლად უნდა განვიხილოთ, რადგან მათი კანონმდებლობა კარგი მაგალითია, თუ როგორ შეუძლია სახელმწიფოს, კანონის საშუალებით, პარტიებს უბიძგოს შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარება.

რა სისუსტეები არის დღევანდელ საქართველოს კანონში პოლიტიკური პარტიების შესახებ და რა შეიძლება დამატებით რეგულაციად შემოიტანოს სახელმწიფომ, რათა შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებას ხელი შეეწყოს, გერმანიის კანონთან შედარების შედეგად გამოვავლენთ.

განსხვავებები კანონის პირველივე მუხლებში შეიძლება დავინახოთ. გერმანული კანონმდებლობა გარკვევით განსაზღვრავს პოლიტიკური პარტიის მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგალითად, პირველი თავის მეორე მუხლში განმარტებულია თუ რა ფუნქციები ეკისრება პარტიას.

„პარტიები მონაწილეობას უნდა იღებდნენ საზოგადოების პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებაში. კერძოდ, უნდა მოახდინონ გავლენა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე, სამოქალაქო განათლების წახალისება და გაძლიერება, მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, მოქალაქეთა განათლება, რათა სამოქალაქო პასუხისმგებლობა გაიზარდოს და მიიღონ მონაწილეობა კანდიდატების დასახელებაში არჩევნების სხვდასხვა დონეზე. ხალხსა და ხელისუფლებას შორის მუდმივი და აქტიური ურთიერთობის დამყარება“

რაც შეეხება ჩვენს კანონს პარტიათა შესახებ, იქ მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ პარტია კანონმდებლობით დადგენილი ნორმების ფარგლებში მონაწილეობს მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და გამოხატვაში. სხვა სამოქალაქო ვალდებულებებზე ყურადღება არ არის გამახვილებული.

ორივე ქვეყნის კანონში მითითებულია თუ რა უნდა იყოს გათვალისწინებული პარტიის წესდებაში. ნაწილობრივ, ორივე კანონის მოთხოვნები ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ არის განსხვავებებიც.

პარტიების ორგანიზების სტრუქტურაში, გერმანია ითხოვს თითოეული პარტიისგან, რომ რეგიონალური/ადგილობრივი ორგანიზაციები იყოს იმ ზომის რომ პარტიის ყველა წევრმა მოახერხოს მონაწილეობა პარტიის პოლიტიკასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მსგავსი ჩანაწერი ჩვენთან არ გვხვდება, გერმანიის კანონში გამოყოფილია პარტიის ყრილობა და აღმასრულებელი კომიტეტი, როგორც აუცილებელი რგოლი პარტიაში, თუმცა ჩვენგან განსხვავებით ყრილობისთვის 2 წლიანი ვადა არის განსაზღვრული და ასევე, აღმასრულებელ ორგანოს და სხვა ორგანოების წევრებსაც ორწლიანი უფლებამოსილება აქვს. ვფიქრობ, ჩვენთან განსაზღვრული 4 წლიანი უფლებამოსილება ძალიან ხანგრძლივია და უფრო მეტად უწყობს ხელს პარტიაში ელიტების მმართველობას. ორ წლიანი ვადა კი აძლევს პარტიის სხვა წევრებსაც გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები და იბრძოლონ მაღალი თანამდებობების დასაკავებლად. ამიტომ, აღმასრულებელ ორგანოებში ლიდერთა მონაცვლეობა პარტიის შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია და კანონმა უნდა მოახდინოს ამის პროვოცირება.

გერმანული კანონმდებლობა განსაზღვრავს დელეგატების მოწვევის წესს ასამბლეისთვის ან ნებისმიერი სხვა ორგანოსთვის. კანონით ეს წესები უნდა იყოს წესდებაში ნათლად წარმოდგენილი. დელეგატების მოწვევის წესს გერმანული კანონმდებლობა განსაზღვრავს საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით და ამ მონაცემებით უნდა იხელმძღვანელონ პარტიებმა. ჩვენს კანონმდებლობაში არ არის ამის საჭიროებაზე ყურადღება გამახვილებული.

მნიშვნელოვანი კომპონენტია პარტიის მაკონტროლებელი ორგანო, ჩვენთან ე.წ. სარევიზიო კომისია, რომელსაც კანონით მინიჭებული აქვს პარტიის საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტების კონტროლი, იქვე მითითებულია, რომ შესაძლოა პარტიებმა თავისი წესდებით კიდევ სხვა ფუნქციები დააკისრონ, თუმცა ჩემს მიერ განხილული

პარტიების წესდებებში ამაზე საუბარი არაა. გერმანული კანონით კი, პარტიის მაკონტროლებელ ორგანოს მაღალი ფუნქციები გააჩნია. მაგალითად, იგი წყვეტს სხვადასხვა დავებს პარტიასა და რეგიონულ/ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის, ასევე დავებს ინდივიდუალურ წევრებს შორის. აღნიშნულ ორგანოს შეუძლია იმსჯელოს წესდების ინტერპრეტაციაზე და ა.შ. პარტიის მაკონტროლებელი ორგანოს წევრი არ უნდა იყოს სხვა ნებისმიერი დონის ორგანოს წევრი, არ უნდა იყოს დასაქმებული პარტიის მიერ და არ უნდა იღებდეს ფინანსურ შემოსავალს. ისინი უნდა იყვნენ დამოუკიდებლები და არ ასრულებდნენ სხვათა მითითებებს. ამ ყველაფერთან ერთად პროცედურები ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ გარანტირებული იყოს მოსმენის და გამოხატვის თავისუფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება ორივე მხარისთვის, რათა არ თავიდან იქნას აცილებული მიკერძოება.

პარტიულ კანონმდებლობაში გაწერილი ეს წესები ავალდებულებს თითოეულ პარტიას დაიცვან ისინი და არ იყოს მათ კეთილ ნებაზე დამოკიდებული. საარბიტრაჟო ორგანოს არსებობა ზოგადად და მისი დემოკრატიული ფუნქციონირება ნიშნავს პარტიის ყველა ორგანოს სწორ მუშაობას. თუ რომელიმე თანამდებობის პირის ან ორგანოს მიერ იქნება გადაცდომა საარბიტრაჟო ორგანო განიხილავს და შესაბამის სანქციებს დაუწესებს. ინდივიდუალური წევრის შემთხვევაში კი მას შეეძლება საკუთარი საჩივარი ისეთ ორგანოს გააცნოს, რომელიც დამოუკიდებელი იქნება საკუთარ მოქმედებაში და არ იქნება პარტიის ელიტების მიერ ხელდასმული.

მოკლედ, პრობლემა ქართულ კანონმდებლობაში ის არის, რომ მსგავსი დაწვრილებითი მითითებები პარტიულ კანონში ამდენი ხნის განმავლობაში შეტანილი ვერ იქნა, არადა აშკარაა რომ პარტიებში შიდაპარტიული დემოკრატიის და საერთოდ წევრთა ჩართულობის პრობლემაა. კანონში შესაბამისი ჩანართებით კი შესაძლებელია ამ ყველაფრის შეცვლა.

გადაწყვეტილების მიღება და პოლიტიკის განსაზღვრა პარტიის ორგანოებში- გერმანული კანონის ეს ნაწილი არეგულირებს შემდეგ პროცესებს. მაგალითად, კანონით განსაზღვრულია, რომ მაღალი თანამდებობის და ორგანოების არჩევნები უნდა ჩატარდეს ფარული კენჭისყრის საშუალებით, დანარჩენი კი შესაძლებელია ღია კენჭისყრით გადაწყდეს. საქართველოს კანონში საერთოდ არ არის მსგავსი მუხლი და პარტია თვითონ არეგულირებს ამ ყველაფერს. ჩემი შესწავლილი წესდებებიდან კი მაგალითად, „ევროპული საქართველოს“ წესდებაში მითითებულია, რომ მათთან აღმასრულებელი კომიტეტის და სხვა პირთა არჩევნები ღია კენჭისყრით ტარდება, რაც ვფიქრობ, არ უნდა იყოს მისაღები

ფორმა. თუმცა რადგანაც კანონმდებლობაში შესაბამისი მოთხოვნა არ არის, პარტია თვითონ წყვეტს მას და რამდენად დემოკრატიულად ეს სხვა საკითხია.

გერმანულ რეგულაციაში აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცედურები უნდა შემუშავდეს დემოკრატიული წესით, მაგალითად უმცირესობების წინადადებებიც ადექვატურად იქნეს განხილული. თითოეული ეს რეგულაცია გავლენას ახდენს ყველა პარტიაზე და ისინი ვალდებულები არიან გაითვალისწინონ კანონის მოთხოვნები. ადგილობრივი ორგანოს გაუქმებაზე გადაწყვეტილებას იღებს პარტიის აღმასრულებელი კომიტეტი. რაც შეეხება ადგილობრივი ორგანიზაციის გაუქმების წესს, ასეთი რეგულაცია ქართულ კანონში არ გვხვდება.

შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებას ხელს უშლის პოლიტიკური პარტიის თავდაპირველი ფუნქციების მოშლაც, კერძოდ პარტია არამხოლოდ პოლიტიკური მიზნების აღსრულებას უნდა ახდენდეს, მან საგანმანათლებლო ფუნქციაც უნდა შეითავსოს, რაც აშკარად ხასგასმულია გერმანულ პარტიების აქტში. პარტიებმა მოქალაქეების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა უნდა მოახერხონ და პოლიტიკური კულტურის ამაღლებაზე უნდა იზრუნონ. აღნიშნულ ფუნქციას როდესაც შეასრულებენ ქართული პარტიები, შესაბამისად გაიზრდება მოქალაქეთა და პარტიის წევრთა მოთხოვნა შიდაპარტიული დემოკრატიის მიმართ.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ პარტიებში მეტნაკლებად არის შიდაპარტიული დემოკრატიის ნიშნები, თუმცა ევროპულ პარტიებთან და ქვეყნებთან შედარებით ჩვენ ჯერ კიდევ საწყის პოზიციებზე ვართ საჭიროა აქტიური მუშაობა ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად.

დასკვნისთვის, კვლევის დასაწყისში დასმული ჰიპოთეზა, რომ შიდაპარტიული დემოკრატიის ხარისხზე გავლენას ახდენს კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ სპეციალური რეგულაციების არარსებობა , დადასტურდა.

შეგვიძლია, ასევე აღვნიშნოთ რომ ევროპაში მიღწეული შიდაპარტიული დემოკრატიის ხარისხიც დიდად კანონმდებლობის შემოღებიტ იქნა განპირობებული, შესაბამისად ცვლილებების შეტანა ჩვენთანაც გამოიღებს შედეგს.

3.2 რატომ არის მნიშვნელოვანი პარტიული რეგულაციების გაძლიერება ქართულ პოლიტიკურ სივრცეში?

როგორც ზემოთ განვიხილეთ, ქართულ კანონმდებლობაში არ არის იმდენი რეგულაციები, რომ პარტიებს შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებისკენ მისცეს გეზი.

ქართული პოლიტიკური სივრცე ძალიან არასტაბილური და ფრაგმენტულია. სამ მილიონიან სახელმწიფოში რეგისტრირებულია 200-ზე მეტი პოლიტიკური პარტია,რაც სხვა ჩვენზე დიდ და პოილიტიკურად განვითარებულ სახელმწიფოებში არ ხდება. ამ პარტიების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა არაფუნქციონირებადია. ისინი არ იღებენ სხვადასხვა პოლიტიკურ აქტივობებში მონაწილეობას, შესაძლოა, მხოლოდ არჩევნების პერიოდში გააქტიურდნენ და ისიც, დიდი ალბათობით სპეციალური დაკვეთით. მათი არსებობა, ჩემი აზრით, ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას ხელს უშლის, რადგან არა საკუთარ იდეოლოგიას და მიზნებს, არამედ სხვას ემსახურებიან. სამწუხაროდ, ასეთი პარტიები მრავლად არსებობს.

იმისთვის, რომ მსგავსი „ფეიკ“ პარტიები შექმნა და „მოღვაწეობა “ გაკონტროლდეს საწიროა ისეთი რეგულაციების შემოღება, რომლის მიხედვითაც პარტიებს მოუწევთ საკუთარი საქმიანობის წარმოდგენა. მაგალითად, ყრილობების მოწვევის ვადა შემცირდეს ოთხი წლიდან ორ წლამდე, როგორც გერმანიაშია მიღებული და პარტიებს მოუწევთ რეალურად შეხვდნენ ამ ორ წელიწადში მაინც, იმიტომ რომ ოთხი წელი ძალიან დიდი დროა და პარტია შესაძლოია საერთოდ უმოქმედო იყოს ამ პერიოდის განმავლობაში და იმ მიზნით , რომ პარტიის სტატუსი არ შეუჩერდეთ ყოველ ოთხ წელში შეხვდებიან. მოკლედ, რომ ვთქვათ, ვფიქრობ მნიშვნელოვანი იქნება ეს რეგულაცია.

დღევანდელი კანონმდებლობით 300 ადამიანს აქვს ყრილობის ჩატარების და პარტიის დაარსების უფლება და ამასთან 1000 კაციანი მხარდაჭერის სიის წარმოდგენაა სავალდებულო. ამ რიცხვის გაზრდა და ახალი რეგულაციების შემოტანა მოგვცემს საშუალებას მილიონობით ახალი პარტიული დაჯგუფება არ გაჩნდეს პოლიტიკურ სივრცეში და არსებული ფრაგმენტაცია არ გაღრმავდეს. არიან პარტიები, რომლებიც ერთი ადამიანის გარშემო იკრიბებიან და მისი პოლიტიკური ამბიციების

განხორციელება არის მთელი პარტიის მიზანიც. თუ ჩვენ მხარდაჭერთა რიცხვს გავზრდით, პარტიის დაარსების მსურველებს უფრო მეტი თანამოაზრის მოძებნა მოუწევთ, შესაძლოა პატარა პარტიებიც გაერთიანდნენ, თუ მათ მსგავსი იდეები აქვთ და ერთად იბრძოლონ მიზნის მისაღწევად. შესაძლოა, დღეს 200-ზე მეტი პარტიიდან ბერს ჰქონდეს მსგავსი მიზნები და ამოცანები, მაგრამ დაქსაქსულები არიან და რეალურ ძალას არ წარმოადგენენ.

ქვეყანაში ერთი იდეოლოგიის მოქალაქეტა კონსოლიდაცია მოგვცემს სერიოზულ პოლიტიკურ ძალას და კონკურენცია პოლიტიკურ ძალათა შორის სერიოზული იქნება.

შიდაპარტიული რეგულაციების შემოღება ისეთის, როგორიც გერმანიასა და სხვა რამდენიმე ევროპულ ქვეყანაშია აპრობირებული, პარტიებისთვის იქნება მოთხოვნა. ზოგადად, როცა მოთხოვნა იზრდება, მიწოდებაც ზრდადი ხდება. თუ პარტიებს მოსთხოვს კანონმდებლობა რომ შიდაპარტიული დემოკრატია დაიცვას და მის მოქმედებაში მოყვანას, შედეგიც ნელ-ნელა მიღწეული იქნება.

შესაძლოა, დასაწყისისთვის საკმაოდ რთული იყოს ამ რეგულაციებისშემოღება, პირველ რიგში იმიტომ, რომ თვითონ პარლამენტი და მმართველი ელიტა იქნება იძულებული დაამყაროს საკუთარ პარტიებში შიდადემოკრატიული სტანდარტები და ვფიქრობ, ამის სურვილიც ბევრს არ ექნება, მაგრამ საქართველოს პოლიტიკური სივრცის გაჯანსაღებისთვის და ევროპულ სტრუქტურებთან და მათ სტანდარტებთან დასაახლოებლად აუცილებელი პირობაა.

დასკვნა

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ რომ ქართული პოლიტიკური სივრცე ევროპის ქვეყნებთან შედარებით, მაგალითად გერმანია, რომლის პარტიულ კანონმდებლობასტან მოვახდინე ქართული კანონის შედარება ნაკლებად არის ორიენტირებული შიდაპარტიულ დემოკრატიაზე და ამ თემის შესახებ კანონში საუბარი არ არის.

ქართული კანონმდებლობა შემოიფარგლება მხოლოდ ზედაპირული რეგულაციების მიცემიტ პოლიტიკური პარტიების მიმართ და უფრო მეტ უფლებას და შესაძლებლობას მას უტოვებს.

საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო პარტიების წესდებების განხილვისას, ასევე აღმოჩნდა, რომ მათ პარტიულ წესდებებშიც არ არის შიდაპარტიულ დემოკრატიაზე ყურადრება გამახვილებული. ძირითადად, ყველა გადაწყვეტილებას იღებს პოლიტიკური საბჭო, რომელიც ფაქტობრივად არის პარტიის ელიტა,

არ არის განხლულ პარტიებში ორგანო, რომელიც იმუშავებს პარტიაში, როგორც სასამართლო სისტემა და რეალურად , დამოუკიდებლად განიხილავს პარტიაში არსებულ პროცესებს, როგორც პარტიის რიგითი წევრის გადაცდომიდან და საჩივრიდან დაწყებული ისე უმაღლესი თანამდებობის პირების ჩათვლით. პარტიებში არსებული სარევიზიო კომისია არ არის ამ ფუნქციებით აღჭურვილი, შესაბამისად მას არ შეუძლია გადაწყვიტოს ზემოთ აღნიშნული საკითხები.

ბიბლიოგრაფია

1. მაცაბერიძე, მალხაზ. (2019) საქართველოს პოლიტიკური სისტემა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
2. A Compilation of Political Party Statutes (2011)- ndi.com
3. Benjamin von dem Berge, Thomas Poguntke, Peter Obert, Diana Tipei (2013) –Measuring Intra-PartyDemocracy A Guide for the Content Analysis of Party Statutes with Example from Hungary, Slovakia and Romania. Springer
4. Bértoa Casal ,Fernando, Rodríguez Teruel, Juan. Political Party Funding Regulation in Europe, East and West: A Comparative Analysis. *https://goo.gl/WEGMJQ*
5. Guidelines on Political Party Regulation by OSCE/ODIHR and Venice Commission *www.venice.coe.int*
6. Herbert Kitschelt, Zdenka Mansfeldova, Radoslaw Markowski, and Gabor Toka, Post-Communist Party Systems (Cambridge: Cambridge University Press, 1999)
7. Janda, Kenneth (1990) "Toward A Performance Theory of Change in Political Parties"
8. Janda, Kenneth (2005). Political Parties and Democracy Theoretical and Practical Perspectives. *www.ndi.org*
9. Karasimeonov, Georgi (2005)"Organizational Structures and Internal Party Democracy in South Eastern Europe". Gorex Press
10. Mayo,Josh (2008). Political Parties and Intra-party democracy in East Africa
11. Michels, Robert (1968). Political Parties: A Sociological Study of the Oligarchical Tendencies of Modern Democracy
12. Minimum Standards for the Democratic Functioning of Political Parties (2008), national democratic institute
13. Molenaar , Fransje(2010). The Development of European Standards on Political Parties and their Regulation. http://www.partylaw.leidenuniv.nl/uploads/wp0410.pdf
14. *Political Parties– Key Factors in the Political Development of Democratic Societies.* (2013). Faculty of Law, University of Bucharest
15. Sartori, Giovanni (1976) "Parties and party systems: A Framework for Analysis. Cambridge Press

16. Scarrow, Susan (2005)Political Parties and Democracy in Theoretical and Practical Perspectives, Implementing Intra-party Democracy
17. Ware, Alan (1979) The Logic of Party Democracy. The Macmilan Press
18. William P. Cross, Richards . Kats (2013). The Challenges of Intra-Party Democracy. Oxford University Press

დანართი

1. საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგი http://cesko.ge/geo/static/2495/saqartvelos-parlamentis-2016-tslis-8-oqtombris-archevnebis-angarishi ბოლოს ნანახია: 11.07.1019
2. პარტია „ქართული ოცნება“ წესდება http://41.ge/charter ბოლოს ნანახია: 11.07.1019
   პარტია „პატრიოტთა ალიანსი“ წესდება https://partylists.cec.gov.ge/uploads/82/16.patriottaaliansi.pdf ბოლოს ნანახია: 11.07.1019
3. პარტია „ევროპული საქართველო“ წესდება http://www.europeangeorgia.ge/about-us/cesdeba ბოლოს ნანახია: 11.07.1019
4. პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წესდება https://www.google.com/search?q=%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98+%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98+%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AB%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90+%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90&oq=%E1%83%94%E1%83%A0&aqs=chrome.1.69i57j35i39l2j0l3.2396j0j7&sourceid=chrome&ie=UTF-8 ბოლოს ნანახია: 11.07.1019
5. გერმანიის პოლიტიკური პარტიების აქტი https://germanlawarchive.iuscomp.org/?p=235 ბოლოს ნანახია: 11.07.1019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Lana Khvedelidze

Intra-party Democracy in Georgian Parties

Political Science

Mastet thesis is prepared to obtain Master Degree in Political Science

Course Supervisor : Malkhaz Matsaberidze

Professor of political science

Tbilisi , 2019